№ 124 17 ნოემბერს, ოთხშაბათი 1866—1876 17 ნოემბერს, ოთხშაბათი № 124

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადი — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ბიბლიოთეკა

„დროების“ რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს და ხელის-მომწერლებს, რომ, რადგან ეს წელიწადი თავდება და მალე ახალი, მომავალი წლის ხელის-მოწერა უნდა გაიმართოს, აგის გამო წლევანდელი გაზეთის ფული, ვისაც არ გამოუგზავნია, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ.

ორი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება ტფილისში — გაზეთის რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში — „დროების“ აგენტებთან.

ფასი ორის თვის გაზეთისა ე. ი. 1 ნოემბრიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდინ — 2 მანეთი. მთელი წლის სრული ნომრები მხოლოდ რამდენიმეა დარჩენილი, — ღირს — 8 მან., ნახევარის წლის — 4 მან. და 50 კაპ, ერთის თვისა — 1 მან.

საქართველო

დღიური

—

ჩვენ შევიტყეთ, რომ ვინიცობაა, ომი რომ ატყდეს ჩვენკენ, ფოთი-ტფილისის რკინის გზას საშუალებით დღეში 2,500 კაცზე მეტის გადაყვანა არ მოხერხდებაო. დაბრკოლება ვაგონებში იქნება, რადგან ცოტა არის, და — ამას გარდა, სურამის ქედზე დიდ ძალი ჯარის გადაყვანა არის გასაჭირიო.

*
* *

ქალაქში ახალი პოლიციმეისტერი ჩამოვიდა უფ. მერკლინგი, რომელიც ადრე პეტერბურღში ყოფილა პრისტავად. ზემინწინ ამან დახედა ქალაქის ცეცხლის კამანდა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუ ის ნამდვილი მოწაფეა ს.-პეტერბურღის პოლიციმეისტერის (გრადონაჩალნიკის) უ. ტრეპოვისა, ამ ჩვენ ცეცხლის მქრობელ კამანდასა და განსაკუთრებით მაშინებს ვერაფრად მოიწონებდა.

*
* *

იმერეთიდამ გვწერენ, რომ ამას წინათ თითქმის ყველა აქაურ სოფლის მღვდლებს ყოვლად-სამღვდელოსაგან წინადადება მოუვიდათ, რომ გაჰყიდონ თავის მრევლში პატარა შაურიანი „ლოცვანი“, რომელიც შარშან ტფილისში დაიბეჭდა. თუმცა ამ წინადადებასთან მღვდლებს ებრძანათ, რომ, ვინც ამ ლოცვანში მოხსენებული ლოცვები და სხვათა შორის, ათი მცნება არ იცოდეს, იმას, საქორწილოდ რომ მოვიდეს, ჯვარს ნუ დასწერთო. მაგრამ სოფლის მღვდლებს ათასში ერთსაც არ აუსრულებიათ ეს ბრძანება: „ხუთასი ახლად დ ქორწილებული ცოლ-ქმარი შემიძლიან დაგისახელოთ, გვწერს ჩვენი ხონელი კორრესპონდენტი, რომელთაც ანბანიც არ სცოდნიათ, არც ერთი ლოცვა, ისე დაიწერეს ჯვარიო. ზოგგან მღვდლებს გადაჭრილი ჰქონდათ ამ გვარ საქორწინეებისათვის თითო თუმანი და გადაიხდიდნენ თუ არა, ჯვარს დასწერდნენო, არავის ბრძანებასა და განკარგულებას არ მიხედავდნენ. ახლაც ასე არისო.

*
* *

„მართალია, სურამის ჰავა კაცის ჯანმთელობისათვის მთელს საქართველოში განთქმულია, გვწერს ჩვენი იქაური კორრესპონდენტი; მაგრამ, რაც უნდა იყოს, კაცის მდგომარეობა ჯერ ისე არ არის გაკეთებული, რომ საცა უნდა ცხოვრებდეს, სნეულება და ავათმყოფობა იმან თავიდამ აიცილოს.

„ჩვენც, სურამელებიც, განსაკუთრებით გლეხ-კაცობა, ეხდებით ხოლმე ავათ, ჩვენც დრო-გამოშვებით თითო-ოროლა სენი გვეწვევა ხოლმე; და ჩვენი უბედურება ეს არის, რომ ექიმისა და ფერშლის პირის ნახვას მონატრული ვართ; გორის ექიმს უნდა მივმართოთ ყოველთვის, როცა საჭიროება მოითხოვს, და ის, თუ უკანასკნელი ერთი თუმანიც არა არ წარუდგინეთ, რასაკვირველია, ფეხსაც არ მოიცვლის თავის ბინიდგან.“

სურამიდამვე გვწერენ, რომ ყველა ქალაქებში არის აკრული ტაქსა, და ამ ჩვენს ქალაქს კი არა ეშველარაო. ამის გამო აქ ხორაგისა და სასმელების მოვაჭრენი, ვისაც როგორც ჰსურს, ისე ვაჭრობენო.

*
* *

ჩვენ მივიღეთ კახეთიდამ შემდეგი წერილი:

„ამ დღეებში ერთი სიღნაღელი სომეხი და ორიც ქართველი სოფ. საქობოდამ წასულან მდინარე იორზედ, რომ იქ ამოერჩიენათ ერთი ადგილი და გაეკეთებინათ საამხანაგოთ ერთი წისქვილი. წასვლის დროს, რასაკვირველია, სახლობას გამოეთხოვნენ სამ-სამის დღით და შემდგომ უნდა მობრუნებულიყვნენ. როდესაც მისულიყვნენ დანიშნულს ალაგს, მეღუქნისათვის მიეტანათ ერთი ხოხობი და ეთქვათ: — ეს კარგათ შეწვი და სადილისთვის მოგვიმზადე და მოვალთო. მეღუქნემ შეამზადა. მაგრამ, სადილათ კი არა, ვახშმათაც აღარსად იყვნენ.

„გავიდა სამი დღე, გავიდა ერთი კვირაც, მაგრამ არსად არიან. რადგანაც აღნიშნულს ვადაზედ არ მოვიდნენ, სომხის ცოლმა, რომელმანც შეიტყო მეღუქნისაგან ეს ამბავი, შეატყობინა უეზდის უპრავლენიას, რომ ჩემი ქმარი და ორიც მავანი-და-მავა-

ბიბლიოგრაფია

„დედა ენა“ ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის. შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. გამოცემა პირველი, სურათებით. ფასი ექვსი შაური. ტფილისი, 1876.

—

ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში, როგორც მაგ. გერმანიაში, შვეიცარიაში, სვედიაში, საფრანგეთში და სხვაგან, მთელი კომიტეტებია შემდგარი იმ დანიშნულებით, რომ სახალხო შკოლებისათვის და ამათ მასწავლებლებისათვის იაფი ფასისა და ნამდვილი პედაგოგიური მოთხოვნილებაების დამმაკმაყოფილებელნი სხვა და სხვა სახელმძღვანელოები შეადგინონ და გამოსცენ, ან სხვის ვისმესგან შედგენილი გაარჩიონ, დააფასონ და, შემდეგ სასარგებლოდ ნახვისა, თავიანთი ხარჯით გამოსცენ. ამისთანა ქვეყნებში არამც-თუ სახელმძღვანელოების გამომცემი საზოგადოებები არსებობენ, არამედ იმისთანებიც, რომლების დანიშნულება პედაგოგიური დრო-გამოშვებითი, ჟურნალ-გაზეთების გამოცემაა მასწავლებლებისათვის, სადაც ეს უკანასკნელნი ყოველ-გვარ გარიგებებს და ცნობებს პოულობენ სწავლის დროს სახელმძღვანელოდ. შვეიცარიაში მაგ. ამ საზოგადოებების გვარი თითქმის ყოველ კანტონში რამდენიმეა და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ პატარა „ქვეყანაში“ ხალხის განათლების საქმე ისე კარგათ და ბევრი სხვა დიდი სახელმწიფოებისათვის სახარბიელოდ მიდის.

ჩვენში? ჩვენს ქვეყანაში, სადაც, როგორც ზევით ვამბობ, არცერთს ზემო მოყვანილ სახელმწიფოებზე ან ხალხებზე ნაკლებ არ ესაჭიროებით სახალხო შკოლებში, არის რამე ამ საზოგადოების გვარი? არასფერი ამ გვარი ჩვენში არ მოიძებნება, თუმცა ამ ორის წლის წინეთ კი რაღაცას იწერებოდნენ „დროებაში“. დიახ, იწერებოდნენ, რომ შემდგარა საზოგადოება ტფილისში, რომელსაც სახელმძღვანელოების გამოცემის მიზანი ჰქონია, თუმც დღემდინ კი მარტო ერთად-ერთი სახელმძღვანელო გამოუცია და ისიც უ. გოგებაშვილის „საყმაწვილო კონა“, თუ არ ვსცდები. ამის შემდეგ-რა მოუვიდა ამ საზოგადოებას, რა სახელმძღვანელო და რამდენი გაარჩია ან გამოსცა, ან კიდევ არსებობს ეს საზოგადოება თუ არა — ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის. თუმცა უფ. გოგებაშვილი კი აცხადებს, რომ ეს მისი „დედა ენაც“ ამავე კომმისსიის წევრებისაგან (?) არის გარჩეული და ნება დართულიო, მაგრამ, რადგან ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ „კომმისიის“ დიდი ხანია ხსენებაც აღარ არის, მაშასადამე იმაშიაც უნდა დავრწმუნდეთ, რომ ამ ქამად ის ვერც ვერაფერს გაარჩევდა და ვერც ნებას დართავდა.

—

მაგრამ გვეყოფა ამ საგანზე ლაპარაკი. ჩვენში ყველაფერს და განსაკუთრებით ამ გვარ საქმეებს ყოველთვის ამისთანა ბოლო აქვს. ყოველთვის „ჩვენი ქვეყნის კეთილის მოსურნენი“ ყოველს საქმეს, დაარსებისათანავე, მხურვალეთ და ხანდისხან გაჟურათ მოეკიდებიან; მაგრამ გაივლის ცოტა ხანი და ხედავ, რომ ერთი წევრთაგანი მთისკენ მიიწევს და მეორე ბარისკენ, რადგან მათ შორის უთანხმოება, პირადობა, შური და განხეთქილება ჩამოვარდნილა.

სამწუხაროა, რომ ამისთანა წიგნი, როგორც უ. გოგებაშვილის „დედა ენა“, ე. ი., სპეციალურათ სახალხო შკოლებისათვის დანიშნული წიგნი, ქართულს ენაზე ამდენ ხანამდინ გაურჩეველი და დაუფასებელი დარჩენილა. განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ქართული წიგნების გამოცემა გახშირდა და ბევრნი ხელის მოთბობასაც აპირებენ ამ ენაზე სხვა და სხვა გამოცემებით, საჭირო იყო, ჩემის ჰაზრით, ყოველ შემთხვევისათვის, თვალ-ყურ დაცქვეტილი დამფასებელი (რეცენზენტი), თუ დამფასებლები არა, ყოველი ქართული წიგნისა, გამოვა ის ბეჭდვიდამ თუ არა. საჭიროა იმისთანა ბეჭდვის შემწეობით დამფასებელი, რომელმანც ერთის მხრით, უაზრო და მარტო სპეკულიარულის მიზნით გამოცემულს წიგნებს უნდა გააცნოს ჩვენი მკითხველი საზოგადოება და ამ რიგათ თავათ წიგნებს საზოგადოებაში გავრცელების გზა მოუკვეთოს და მეორეს მხრით, კარგსა და სასარგებლო გამოცემას ისევ მკითხველი საზოგადოება გააცნოს და ამ რიგათ იმათ ხალხში გავრცელებას დაეხმაროს.

ეს ორიოდე სიტყვა ჩვენ დაუდე-

ნი ამა-და-ამ დღეს წავიდნენ აქა-და-აქა და სამ დღეზედ უეჭველად უნდა მოსულიყვნენ; მაგრამ აი გავიდა ერთი კვირაც, რომ არსად არიანო; და სთხოვა რომ მოენახათ. უეზდის უპრავლენიამაც, ვალისა და თანამდებობისაებრ, გაგზავნა ჩინოვნიკი ქვალიეეი საძებრად მათდა, მაგრამ სრულებით ვერა გაიგო-რა, ვერც მკვდარი იპოვნა და ვერც ცოცხალი.

„სომხის ცოლმა შერაცხა იგინი მკვდრებად და გარდაუხადა თავის ქმარს ყოველი წესი მიცვალებულისა, ესე იგი, გაათხრევინა საფლავი, მიიტანა მისი ტანისამოსი, ტანისამოსზედ ააგებინა ტერტერებს ანდერძი და ვითომც თვით იგი დაასაფლავა.

„ასე, რადგან დაკარგულის ცოლმა ყოველი წესი მიცვალებულისა შეუსრულა, რასაკვირველია, ეხლა დაშთა იგი ქვრივად, და უკანაკნელი წესი, ესე იგი წირვა მიცვალებულისა გარდაუხადა ამა ნოემბრის 6-ს, რომლითაცა ყოველნი დარწმუნებულნი არიან, რომ ის კაცები უთუოთ მომკვდარან.

„ახლა რა ვიფიქროთ: იმ ქვრივს რომ გათხოვება მოუნდეს და გათხოვდეს და, შემდგომ ჯვარის წერისა, ის კაცები მოვიდნენ, ეს ქვრივი დედაკაცი—რომელს დარჩება?

ს. შ.

* *
*

ს. მუხრანიდამ გვწერენ, რომ ქსანკის სტანციიდამ ერთს ვერსზე, მუხრანის გზაზედ, თ. ივანე მუხრანსკის მამულში ფარეხებია და მეცხვრეებს ისეთი საშინელი ძაღლები ჰყავთო, რომ, ამათი წყალობით, ამ გზაზე კაცს ვერ გაუვლია და მუხრანელები მთაზე დაიარებიან, შორიდამ უვლიან, რომ უვნებლივ მივიდნენ შინაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

კახეთი, 7 ნოემბერს. მღვდელ-ბლაღოჩინიანთ შკოლები, რომლებზედაც იყო ლაპარაკი ერთ წარსულ „დროების“ ნომრებში და რომლებიც უკვე ჩამოერთვათ იმათ,—იყო თურმე სამი: ერთი ზემო-მაჩხაანში, სადაც დადიოდნენ შაგირდები მირზაანიდამ და ქვემო მაჩხაანიდამ; მეორე ფანიანში, სადაც ქვემო-მაჩხაანელებიც დადიოდნენ და მესამე ბოდბის-ხევში მარტო ამ სოფლისათვის.

ამ სამი შკოლის მაგივრად წარსული წლის სექტემბრიდამ ისევ სამი შკოლა არსებობს: ერთი მირზაანში, სადაც მიწერილია ზემო-მაჩხაანი, არბოშიკი, ოზაანი, კოტაანი და ცლუნკაანი; მეორე ქვემო-მაჩხაანში შემდეგი სოფლებისთვის: ტიბაანის, ჯუგაანის, ფანიანის და პრასიანისათვის, და მესამე ბოდბის-ხევშივე მარტო ამ სოფლისთვის.

ყველა ეს თორმეტი სოფელი არის ხუთი სამამასახლისო: ერთი ბოდბის-ხევი, მეორე ქვ.-მაჩხაანი და ფანიანი, მესამე ზემო-მაჩხაანი, მეოთხე მირზაანი, არბოშიკი და ცლუნკაანი და მეხუთე ჯუგაანი, ტიბაანი, პრასიანი, ოზაანი და კოტაანი. ხუთივე სამამასახლისო თითქმის ერთი მეორეზედ არის გადაბმული, ასე რომ უცხო კაცი პირველ შეხედვაზედ ვერც კი გაარჩევს ერთს მეორედამ.

წინანდელებისა არ ვიცი და ეხლანდელ შკოლებზედ მიდის შემდეგი ხარჯი: თითო მასწავლებელს ეძლევა ოც-და-ხუთი თუმანი ჯამაგირი. ეს ფულები იკრიფება სოფლებში ფოშტის ფულთან, იღებს ხაზინა და აქედამ მასწავლებლები. საშკოლე სახლები სამივეგან ნაქირავები აქვსთ; ამას გარდა თითოეულ შკოლისთვის თითო ბიჭი ჰყავთ და მოაქვსთ შეშა სოფლელებს; მირზაანში სახლში აძლევენ ხუთ თუმანს, ბიჭს—შვიდ თუმანს და შეშა მოაქვსთ ხუთი საჟენი; ქვემო-მაჩხაანში—სახლში ხუთ ნახევარ თუმანს, სამ თუმანს ბიჭსა და მოაქვსთ ოთხი საჟენი შეშა; ბოდბის-ხევში—ხუთ თუმანს სახლში, ოთხ თუმანს ბიჭსა და შეშაც ოთხ საჟენამდე. სულ, სამივე შკოლებისათვის: სახლის ქირა ათ ნახევარი თუმანი, ბიჭების ჯამაგირი თოთხმეტი თუმანი და შეშა—ცამეტი საჟენი. ყველა ეს ზემოხსენებული ხარჯი, მასწავლებლების ჯამაგირის გარდა, თითონ სოფლებისგნით არის ეგრე დაწყობილი და დიდის კმაყოფილებითაც იხდიან.

შესახებ სწავლისა მე არას ვიტყვი; რაიცა შეეხება შაგირდების რიცხვს, სამივეგან ძალიან ბლომ-ბლომათ იქნებოდნენ, რომ, სამწუხაროთ, სახლებში ვიწროობა და სტოლების ნაკლულევანება არ იყვეს; ეხლა კი, საშუალო რიცხვით, თითო შკოლაში იქნება ოც-და-ხუთმეტ შაგირდამდე, რომლებიც ერთ-ნახევარ ვერსზედ დადიან თოვლში და ცუდ ამინდებშია,—მაშასადამე სწავლის სურვილი, ხალისი კარგათ ჰქონიათ აქაურებს.

როგორც ზემოთა ვსთქვი, საშკოლე სახლები სამივეგან ნაქირავები აქვსთ ჯერ-ჯერობით; შემდეგისთვის კი საკუთარი შენობის გაკეთება სწადიანთ საეკკლესიო ადგილებზედ, რომლებიც სამივე სოფელს აქვსთ. ვინმე მოთავე რომ აღმოჩნდეს და მართლა გააკეთონ, რაღა თქმა უნდა, მშვენიერი იქნება; მაგრამ მე სხვა ფიქრი მაქვს ამის შესახებ და სულ ამის გამო იყო, რომ ვსწერ ამ წერილს.

ჩემი ფიქრი არის, რომ ეს სამი შკოლა შეერთდეს, გაკეთდეს ერთ შკოლათ, რომელიც ძალიან ადვილათაც შეიძლება; და აი როგორ:

ამ სამი შკოლის პატრონი-სოფლები ერთი-ერთმანერთზედ ახლო-ახლოს არიან. ყველამ ერთათ ამოირჩიონ უფრო მოხერხებული შუადგილი. (ამ შემთხვევაში ქვემო-მაჩხაანი ემჯობინება ყველა სხვა სოფლებს, რადგანაც ეს სწორეთ რომ შუა სოფელია, მშვენიერი წყლებიც ახლო აქვს, საშკოლე ადგილებიც ძალიან კარგებია). აქ ააშენონ ერთი დიდი სახლი (რომელიც არაფერი საძნელო იქნება თორმეტი სოფლისთვის); ეს სახლი იქნება გაყოფილი ორათ: ერთი განყოფილება იქნება მარტო საშკოლეთ, მეორე კი შაგირდების სადგომათ. ვისაც უნდა შკოლაში შაგირდი მიიყვანოს, იქვე უნდა დააყენოს და მიუტანოს ლოგინი და საჭმელ-სასმელი კვირაობით, თვეობით, ან წლობით, როგორც ემჯობინება.

სასწავლებელს ეყოლება ისევ სამი მასწავლებლები იმავე ჯამაგირზედ, რაც ეხლა ეძლევათ; სამი ბიჭის ჯამაგირს (14 თუმანს) რომ კიდევ მიემატოს ორი კარგი ბიჭი დადგება: ერთი მზარეული შაგირდებისა და მასწავლებლებისათვის და ერთიც შკოლის მოსამსახურე; შეშა, 13 საჟენი, საკმარისი იქნება შკოლისათვის. ერთი სიტყვით, საქმე ძალიან იოლათ წავა, ჩემის აზრით, და შკოლაც ერთი-ორათ გაუმჯობესდება.

ვინ არ დამეთანხმება, რომ სამი-ოთხი მასწავლებელი ერთათ უფრო მეტ ნამყოფს მოიტანს, მინამ ერთი მარტოკა. მაშინ აღარ იქნება არც ის დაბრკოლება სწავლაში, რომელიც ეხლა არის შაგირდების გამო,

---

ენელობაზე გამომათქმევინა იმ ზემო მოყვანილმა გარემოებამ, რომ უფ. გოგებაშვილის „დედა ენაც“ ამდენ ხანამდინ გაურჩეველი და მკითხველი საზოგადოებისათვის გაუცნობელი დარჩენილა.

აქამდისინ მეგონა, რომ უფ. გოგებაშვილის თხზულებების ჩვეულებრივი რეცენზენტი, ამ მის ახალს თხზულებასაც გაარჩევდა და გააცნობდა ჩვენს საზოგადოებას და, განსაკუთრებით, სახალხო შკოლების მასწავლებლებს; მაგრამ ტყუილ-უბრალოდ ვუცადე. მე ამით სრულებით არ ვესაყვედურები უფ. ქურდღელაშვილს, რადგან, ვინ იცის, ის რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ, იმედია, ადრე თუ გვიან —იმასაც ისე სასტიკად და ჯეროვანათ გაარჩევს და დააფასებს, როგორც „საყმაწვილო კონა“ გაარჩია და დააფასა. ამის იმედი მიტომ უფრო მაქვს, რომ მე ბევრი სხვა და სხვა მიზეზები ნებას არ მაძლევენ „დედა ენა“ ვრცლათ და მისი ყოველი ნაწილი ანუ სტატიები ცალ-ცალკე გავარჩიო; ჩემი გარჩევა „დედა ენისა“ გაკვრით თვალის გადავლება იქნება და იმისი ორიოდე შეცდომილების ჩვენება.

—

თავდა-პირველათ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ იმაზედ, თუ რა გვარი, რა მიმართულების უნდა იყოს დედა ენის შესასწავლებელი სახელმძღვანელო იმ ექვსისა და შვიდი წლის ბავშვებისათვის, რომელნიც ჯერ კიდევ იმდენათ გონება-გაუხსნელი და ნორჩნი არიან, რომ არ შეუძლიანთ რამდენიმედ მართლის თვალით შეხედონ გარემოცულ ყოველ გვარ საგნებს და ბუნების მოვლინებებს.

—

ნამდვილ და აზროვან პრინციპებზე დამყარებული პედაგოგიური სწავლა გვეუბნება, რომ ექვსისა და შვიდი წლის ბავშვს, რომელიც, შკოლაში შესვლისათანავე, პირველად არის მისგან სრულებით უცნობს წრეში და ადგილას, რომელსაც, ჯერ სრულებით არ უ' წავლია, წიგნი თვალითაც არ უნახავს, რომელიც სულ სხვა შესაქცევებით და შრომით იყო გართული, ამისანა ნორჩს და თითქოს გაველანებულს ყმაწვილს ამ თავით არაფერი იმისთანა არ უნდა აჩვენოს და ელაპარაკოს, ასწავლოს და აუხსნას მასწავლებელმა, რომ მასისინი უცხო და გაუგებარი ეჩვენოს, რომ მისი გონებისაგან მიუწდომელ დარჩეს. ამ თავითვე ყმაწვილი უნდა გრძნობდეს, რომ თითქოს ის კიდევ შინ არის, თავის დედ-მამასთან, თავის პატარა დან-ძმასთან არის, იმ საგნებით და შესაქცევებით გარემოცული, რომლებითაც გარემოცული და გართული ის შკოლაში შემოსვლის წინეთ იყო; მასწავლებელის და შკოლის შეგირდების იმასთან მიმართობა და კავშირი, მას უნდა აგრძნობინებდეს, რომ ის კიდევ შინ არის და არა შკოლაში და შეგირდებში: მასწავლებელი დედ-მამის მაგიერობას უნდა უშვრებოდეს და შკოლის შეგირდები დან-ძმანისას.—ამისთანა ნორჩი, მორცხვი და გონება გაუხსნელი ყმაწვილი მასწ. ვლებელს თან-და-თან შეჰყავს ჯერ მისგან სრულებით უცნობს „სფერაში“, თან-და-თან აჩვევს თუ ეს საჭიროა, რომ ის შკოლაშია და არა შინ, თან-და-თან გადაჰყავს მისი ჭკუა-მოსაზრება და გონება სხვა უფრო ძნელსა და მისგან უცნობს საგნებზე. შინიდამ მოჰყობა, შკოლით განაგრძობს, შემდეგ შკოლის გარეთ მყოფს საგნებზე გარდადის და სულ ბოლოს უფრო დაშორებულს და ბავშვის ჭკუისაგან ძნელად მისაწვდენელს საგნებს და ბუნების მოვლინებებს უხსნის და ასწავლის.

—

აი ამას თხოულობს ნამდვილი პედაგოგიური სწავლა და თან დასძენს, რომ ყველა ამ პირობების აღსრულების შემდეგ, ბავშვების სწავლა და—თან-და-თან, მათი გონების გახსნა ჯეროვანათ და ნამყოფიერათ წავა, წინაამღდეგ შემთხვევაში კი ბავშვს გონება ეხშობა, ის ბუნებითი ჭკუის საფუძველიც დაუჩლუნგდება და გაუფუჭდება, რომელიც მას დედის მუცლიდამ გამოჰყოლია.

აი, ამ გვარი, ამ მიმართულების უნდა იყოს სამშობლო ენის შესასწავლებელი სახელმძღვანელო, მცირე წლოვანებისათვის, მკითხველო, და—არამც თუ სამშობლო ენის, არამედ სხვა ყოველ გვარი საგნების შესასწავლებელი სახელმძღვანელოც.

ეს თუ ასეა, მაშ ეხლა ვიკითხოთ—თუ რამდენათ აკმაყოფილებს უფ. გოგებაშვილის „დედა ენა“ ამ მოთხოვნილებებს?

*

(გაგრძელება)

ე. ი. მაშინ არ იქნებიან შეგირდები თავთავიანთ ნებაზედ, როგორც ეხლა, ხან მოვლენ, ხან არა, რაღაც ინდოს, ცხვირს, ან სახედრის დაკარგვის გამო,— რის გამოთაც შკოლაში რამოდენიმე განყოფილება კეთდება ხოლმე, რადგანაც ზოგი უკან რჩება და ზოგი წინ მიდის სწავლაში,— არამედ მუდამ ივლიან შკოლაში, მუდამ მასწავლებლების მხედველობის ქვეშ იქნებიან და, რაღა თქმა უნდა, ბეჯითობაც უმჯობესი იქნება და, ნამყოფიცა. ამ შემთხვევაში შეიძლება აღსრულდეს უფ. როსტომაშვილის სურვილიც, რომელიც „დროების“ №№ 104 105-ში იყო მოხსენებული და სხვა ბევრი რამე...

აი, ეს არის ჩემი აზრი შესახებ ამ სამი შკოლისა. მიმინდია ამის დაფასება ყველა აქაურ მცოდნე პირთათვის თხოვნით, რომ თავიანთი აზრიც დაამატონ და იქნება თქმა საქმეთ მოვიდეს და არა მარტო თქმათ.

თეოფ. ქანდელაკი

თერგის ქვეყანა

(მოკლე ეთნოგრაფიული მიმოხილვა)

(დასასრული)

—

ბ რ ო ზ ნ ი ს მაზრა მდებარეობს ვლადიკავკასიდამ ჩრდილოეთის მხარეს. თვით ქ. ბროზნა არის გაშენებული ვაკე ადგილას მდინარე სუნჟის პირას; განიყოფება ეგრეთვე ორ ნაწილათ ევროპიულის და აზიურის ხასიათებით, მაგრამ აქ ეს უკანასკნელი უფრო ნამდვილ სურათს წარმოადგენს თავის ხასიათისას, განსაკუთრებით ბაზარი. მოვაჭრენი არიან მომეტებულ ნაწილათ ჯიუტები (ებრაელები) და სომხები.

ქალაქსა ჰყავს ქალაქის გამგეობა, პოლიცია, (პოლიციაში როგორათაც რუსეთის ღერბი—ორ თავიანი არწივი—აქვსთ კედელზედ მიკრული, ეგრეთვე ჩაჩნების ღერბიც—ლომი, რომელსაც თათში ამოღებული ხმლის პირი უჭირავს), მომრიგებელი მოსამართლე და სხვ.... ქალაქში დგას ფრანგების ეკკლესია, რუსებისა, მეჩეთი და სომხების ეკკლესია, რომელსაც სამრეკლო-ღა აკლია დასამთავრებელი. ევროპიულ ნაწილში ბულვარზედ „ვედრებისა მღვთის მშობლის ხატი“ სვენებულა, სრულის ტანისა, მშვენიერი სასოებითი სურათი და, როგორც დამარწმუნეს, ეითომც ტირილი დაუწყია და ამის გამო რუსების ეკკლესიაში შაუსვენებიათ; ნაცვლად ალექსანდრე ნევსკის სურათი და ერთიც სხვა რუსის წმინდათაგანი დაუსვენებიათ. სასტუმრო ერთის მეტი არ არის ხეირიანი, ეს-კი იმერელს უჭირავს—ქალმახიძეს.

შიგ ქალაქში და გარეშამო სოფლებში ადგილობრივი ჯიუტები ბევრნი სცხოვრებენ. ამათ ქალებს ჩაჩნურათ აცვიათ. ბროზნის ნიადაგი არის ალიზნარი. ბირჟაცა აქვსთ, სულ რვა დანჯღრეული ფაეტონი. აქ ატამს ყველანი „შაპტალს“ ეძახიან და ბლომათაცა სცოდნია მხოლოდ საპობი. მომეტებულ ნაწილათ ბაზარში აქ ნედლი ხილით ვაჭრობენ სპარსელი თათრები.

ბიოლგიევსკის შემდეგ აქაური იარმუკობა არის ნაქები. სავაჭრო საქონელი ნიჟეგოროდსკის მაკარიევამ აქეთ მხარეს პეტროვსკზედ შემოდის და არ არის სიძვირე ნამეტნავათ ჩითეულობა და ტყავის საქონელი. აბას გარდა ადგილობრივი ნაწარმოები ნაბადი და შალი ძალიან იაფია. მაზრის მცხოვრებნი არიან ჩაჩნები, ქისტები, რუსები და ყაზახები, (შუაგულ ჩაჩნეთში, ჯერ ერთი სოფელიც არ არის რუსების მცხოვრებლებთაგანი, გარდა მოსამსახურე ჩინოვნიკებისა), მუჟიკები (?), ჯიუტები და სხვ....

ბროზნიდამ ოც-და-ოთხ ვერსზედ ჩრდილოეთის მხარეს მდებარეობს სიმაგრე ვ ო ზ დ ვ ი ჟ ე ნ ს კ ი. ათას რვაას ორმოც-და-ოთხში, როდესაც გალავანის საძირკველი უთხრიათ აქა, მაშინ უპოვნიათ მიწაში ერთი დიდი ქვის ჯვარი, რომელიც დღეს აღმართულია შიგ გალავანში და ამის გამო დაურქმევიათ სახელი—ვოზდვიჟენსკი (ამაღლება). ჯვარი მიწას ზემოთ ერთი საჟენი და ორი გოჯი დგას, მიწაში-კი არ ვიცი რამ სიგრძეთ არის ჩასმული. სისქე აქვს ცხრა გოჯი. ჯვარს ზედ შუა ადგილას ერთი ციდა ოთხ-კუთხიანი ამოჭრილი აქვს და სიღრმეთ-კი ერთი გოჯი; ეტყობა, რომ ან ხატი ყოფილა შიგ ჩასმული და ან დაწერილი მარმარილოს ქვა.

ვოზდვიჟენსკი დგას მდინარე არღუნის პირას, მარცხენა მხრივ. ამ ალაგიდამ იწყობა დიდი საჩეჩნეთი ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრის გაყოლება. აღმოსავლეთ - დასავლეთის მხარეს შეჰყვება მდინარე არღუნის ხეობა. ამ ხეობის თავში ქისტები სცხოვრობენ და გადასწვრივ თუშეთია, თიანეთის მაზრა. აქ სდგომებიათ თურმე შოსეს გზა გაეყვანათ თფილისისკენ და მოესპოთ სამხედრო საქართველოს გზით მსელელობა ბუდაურზედ. მაგრამ დამაბრკოლებელი მიზეზი რა გამოუჩნდათ—იმისი კი არა ვიცი-რა.

წლევანდლისთანა გატანჯული წელიწადი აქეთ მხარეს დიდი ხანია არ გვინახავსო, ასე ამბობენ საზოგადოთ მთელს თემში. წვიმიანობა ძალიან ნაკლებათ იყო; მხოლოდ პიატიგორსკში და ქისლავოდსკში იყო ორჯელ თუ სამჯერ ახირებული ნიაღვრები, რომელმაც ბლომა ზარალიც აჩვენა მცხოვრებლებს. ბროზნის მაზრაში მთელი ივლისი, აგვისტო და ათ ენკენისთვემდის არ გაავდრებულა. პიატიგორსკის, ბიოლგიევსკის და ვლადიკავკასის მაზრებში რქიანი საქონლის ჭირიც იყო გაჩენილი. ყველა იარმუკებში რქიანი საქონლის იაფობა არის, მაგრამ საშიშია ყიდვა, რაკი სიგრილე დაჰკრავს მაშინათვე მუსრი ევლება (მხოლოთ ყასბებს გაუხარიანთ).

მთელს თემში ბლომათ მეფუთკრეობას მისდევენ, ნამეტნავათ ქაბარდოში და საჩეჩნეთში. ამ ჯიშის ფუტკარს ევროპიის მეფუტკრეები ლიკურიის (იტალიის) ფუტკარს ეძახიან; ფრთების სარჩული და მუცელი მოყვითანო ფერისა აქვს, ცოტათა ცხარობს—იკბინება, ბლომათ და ნათელს თაფლს იძლევა.

პურის მოსავალი ყველგან შიგ ჭრელათ არის, ასე რომ ერთი-რვათ (1—8%) მოსავალს არ გადასცილებია. პური თალხი გამოვიდა. მარცვალი წვრილი.

უბალახობა საყოველთაო ნაკლულევანება არის, ნამეტნავათ ბროზნის მაზრაში, მაგრამ ჩაჩნებს ჩვეულებათა სცოდნიათ ბლომათ გოგრის (კვახის) მოყვანა. ზამთრობით თურმე შინაურ პირუტყვს აჭმევენ და თესლს-კი აცლიან და ჰყიდიან რუსებზედ. რუსების პირველი შესაქცევი და თავს გასაყოლებელი საკნაწულებელია—გოგრის, საზამთროს, და მზეჭვრიტის თესლი.

საცხოვრებლათ ძალიან იაფობა არის, ნამეტნავათ ბროზნის მაზრაში: ქათამი წყვილი ერთი აბაზი, ათიდამ თხუთმეტ კვერცხამდის—შაურათ. პიატიგორსკშიაც წინათ თურმე იაფობა იყო და კიდევაც არის, მაგრამ იქაური კურსი—ცოტა არა, რომ ფასს აუწევს ხოლმე. ფუთი ერბო ექვსი მანეთი, პიატიგორსკში-კი—კურსის დროს, თუმანია. წლევანდელ მოუსავლობის და მწიროობის გამო ცოტათ ყველასა აქვს ფასი აწეული. ვლადიკავკასიდამ ჩრდილოეთის მხარეს ბროზნისკენ და გაყოლება ყველა სოფლების თავში ან ბოლოში და დიდ მანძილზედ რუსის ყაზახები დგანან ყარაულებათ ჩაჩნების გამო მშვიდობიანობის დასაცველათ და—თუ იარაღი არა აქვს, ღამე მგზავრს არ გაუშვებენ.

ბ. ბრეგელი

უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. როგორც „დროების“ წარსულ ნომერში იყო მოხსენებული, მარკიზი სალსბიური—ინგლისის წარმომადგენელი სტამბოლში კონფერენციის დროს, ჯერ პარიჟში და ბერლინში წავიდა იქაურ მმართებლობებთან მოსალაპარაკებელად. გუშინ მოსულ დეპეშამ გვაცნობა, რომ ამ თვის 11-ს მარკიზ სალსბიურის გერმანიის კანცლერ თ. ბისმარკთან ჰქონია მოლაპარაკება ბერლინში. თ. ბისმარკს, სხვათა შორის უთქვამს, რომ გერმანია ამ საქმეში რუსეთს თანაუგრძნობსო; მაგრამ, თუ ეინიციბაა, ომი ატყდა, გერმანიას განზრახვა არ აქვს, რომ ომში გაერიოსო.

„მე თვითონ ძალიან მონატრული ვარო, უთხრა თ. ბისმარკმა მარკიზ სალისბიურს, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვეს ევროპაში; მაგრამ ძალიან ეჭვი კი მაქვსო, რომ კონსტანტინოპოლის კონფერენციამ რამე გაარიგოსო.“

თითქმის ამნაირივე სიტყვით გაუსტუმრებია ინგლისის წარმომადგენელი საფრანგეთის უცხო ქვეყნის მინისტრს, გერცოგ დეკაზსაც; ასე რომ ინგლისი თითქმის დარწმუნდა ახლაო, რომ, თუ ომი მოხდა, ეს და ოსმალო მხოლოდ ერთი მეორე წინააღმდეგენი იქნებიან რუსეთისა და იმის მომხრეებისა.

ნარევი

მოვიდნენ! ქუთაისიდამ ჩამოვიდა იქაური პოლიციმეისტრის თანაშემწე უფ. ბ. ი. ბაქრაძე, რომელიც თფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილების მდივნათ ე. ი. სეკრეტრათ გაამწესეს.

იქიდამვე ჩამოვიდნენ: ლენერალ-მაიორი უ. სპ. მაჭავარიანი, თ. მიხ. და ლევ. აგიაშვილები, ქოს. ქანდელაკი, და მოშა ურია თავის ბიძაშვილით შაფათათი...

იქიდამვე ჩამოვიდა საშინელი სუნი ტყიბულის „ქვა-ნაშხირისა“...—

* * *

გავა! თფილისში ხმა გავარდა, რომ აქაური სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილების მდივანი, უფ. ბ. ი. ბაქრაძე, ქუთაისში გადაჰყავთ პოლიციმეისტრათაო...

მაშ, უ. ბაქრაძე გავა—ჰა!

* * *

მოხედეთ! ვინ თქვა-ზოგი ჭირი მარგებელი არ არისო? აქამდისინ თურმე უ. ბ. ბ—ს „დროება“ დასანახავათ ეზარებოდაო და ეხლა, რაკი ორიოდე სიტყვა ამ გაზეთმა იმასაც უძღვნა, თურმე-ნუ იტყვიო, განცხადებასაც არ სტოვებს, რომ არ წაიკითხოსო!.. ვინ თქვა, მაშ, ზოგი ჭირი მარგებელი არ არისო?

ესეც ერთი იმ საშუალებებთაგანი, რომლის შემწეობითაც ზოგიერთი გაზეთები მკითხველებს პოულობენ...—მოხედეთ!

* * *

ნუ მოხედავთ! მოგეხსენებათ, რომ ბევრნი „დროებას“ კინწლაობას სწამებენ: აიხირებს ვისმეს და ალარ მოეშვებაო! მართალია ეს დაწამება, თუ არა,—იმას ჩვენ ეხლა არ გამოუდგებით, მაგრამ ერთს დროს კი მართლა აიხირა ამ ჩვენმა „დროებამ“ ერთი წარჩინებული გვამი და იქამდისინ მიიყვანა, რომ, როგორც თვითონ ეს გვამი ამბობდა, სიყვითლე დაჰმართა...

ბოლოს რომ არაფერი ეშველა, ღმერთს აღთქმა მისცა, რომ ოღონდ ესლა ამ სიყვითლეს გადამარჩინეო და ჩემს დდეში „დროებას“ ხელს ალარ მოვკიდებო. არ ვიცი, ამ აღთქმამ გასჭრა, თუ სხვამ რამემ, მაგრამ ამ წარჩინებულ გვამს სიყვითლემ უშველა, ამასობაში, „დროებამაც“ ხელი ააღო. არ ვიცი კი: სიყვითლემ დასწყრო „დროებას“, თუ „დროებამ“ სიყვითლეს!

გავიდა ხანი. აკი გაწყრა კიდევ ღმერთი! აკი გაეხირა რაღაც „საზოგადო საქმეში“ ეს გვამი და—მის-და-საუბედუროთ, იმ ნაირად გაეხირა, რომ „დროებამაც“ გაუხსენა ძველებური. მის ნაცნობებს ეგონათ, რომ სიყვითლეც თავისას გაუხსენებდა, მაგრამ ყველას არწმუნებდა არა, „დროებას“ არ ვკითხულობო.

პარასკევი საღამოა! დილას გაზეთი გამოსულა და ადამას თფილისის მკითხველებისათვის თორმეტ საათამდინ დაურიგებია კიდეც. ეს წარჩინებული გვამი ამ საღამოს ერთის თავის ნაცნობისას არის. ჩაის სმის დროს, მასპინძელი, სხვათა შორის, ჰკითხავს სტუმარს:

— დღევანდელ ნომერში წაიკითხე „ცულლუტის“ ფელეტონი?

— მე დიდი ხანია „დროებას“ არ ვკითხულობ, რადგან ვიცი, რომ შიგ ლანძღვისა და გინების მეტი არა არის რა.—ისეც მეეოფა, რომ ერთხელ გადურჩი სიყვითლეს!—რაო, მაინც რა მინდაო?...

მასპინძელი მოუყვება ფელეტონის შინაარსს, მაგრამ ერთი ადგილი ველარ მოიგონა და ცოტა შეჩერდა; სტუმარსაც დავიწყდა, ალ-

ბათ, რომ — „Დროებას“ არ ვკი ხულობთ, რომ სთქვა, და გაახსენებს მასპინძელს შემდეგ დავიწყებულ კუპლეტს:

Რომ მეტყვიან: ჰა, ეკეთდებით,
„ჩვენი ბანკი გაუხსნიათ!“
მე გავაგდებ მაშინ მაქოს,
ეიტყვი: „ჯერ არ შეუტყვიათ!“

მეორე დღეს ეს მასპინძელი ერთს თავს იმისანა ნაცნობს მოუყვება ამ ამბავს, რომელიც თურმე იმ წარჩინებულ გვამს ერთს საღამოს შესწრებია „Დროებას“ რომ ჰკითხულობდა და უცბათ დუმალავს. — მასპინძელსა და ნაცნობს ბევრი უცინიათ!..

Თუმცა ასე მალულად კითხულობდა თურმე ეს გვამი „Დროებას,“ მაგრამ — ამ ხანათ კი, არ ვიცი: თვალი შევაჩვიეთ და არ ვიცი იმიტომ, რომ მისმა კანმა ეს ფერი შეიფერა, — სიყვითლე ვეღარ შევნიშნეთ.

Ესეც ერთი იმ საშვალებებთაგანი, რომლის წყალობითაც ზოგიერთი გაზეთები მკითხველებს ჰკარგვენ.. — ნუ მოხდავთ!.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲝᲖ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ

ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ

ᲐᲛ ჟამად ქ. ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ დაბინავებული, მიიღებს Თფილისის სამოსამართლო პალატისა და ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ სასამართლოის მოწმობაების ძალით და აწარმოებს სამოქალაქოსა, სისხლის სამართლის და სამიჯნაო საქმეებსა როგორათაც ხსენებულს სასამართლოებში, აგრეთვე მომრიგებელ მოსამართლეებთან ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გუბერნიისა, რისთვისაც თანახმა არის Თფილისში და ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გუბერნიის უბნდებში მისვლა-მოსვლაზედ საქმეების დასაცველად.

Აგრეთვე მიიღებს მსვლელობას ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ საადგილ-მამულო ბანკში მაძულების დასაგირავებლად.

მიიღებს მოდავეებს დილით 11 საათამდინ, საღამოზედ 5 საათიდან 8 საათამდინ.

Ძ. ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, Თფილისის ქუჩაზედ, ᲫᲣᲠᲗᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახლებში, პროგიმნაზიის პირ-და-პირ.

(10—6)

ᲬᲐᲚᲙᲝᲢᲘ

თქეული

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲘᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

Მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

Ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

Მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ:

Ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-მდინ — დოქტორი ᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗᲐ და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ — დოქტორი ᲠᲔᲛᲔᲠᲢᲘ.

Სამშაბათობითა და შაბათობით 11-დამ 12-მდინ — დოქტორი ᲐᲚᲑᲐᲜᲣᲡᲘ.

ᲡᲐᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი — დოქტორს ᲣᲨᲐᲙᲝᲕᲘ.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: Რემერტის, ᲐᲚᲑᲐᲜᲣᲡᲘᲡ და ᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘᲡ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲗᲐᲜ ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ᲐᲛ განყოფილების საზოგიდო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში — 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან.

LA VELOUTINE

(ᲕᲔᲚᲣᲢᲘᲜᲘ)

ერთნაირი ბრინჯის ᲙᲣᲓᲠᲘ (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ᲘᲗᲔᲗᲘ ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

Კანს ეკერება და არა სჩანს.

Შ. ᲤᲐᲘ — ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲘ

pommade satin

(ᲐᲢᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ეინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—79



ᲐᲗᲐᲡᲘ პირი, ქალი და კაცი თავისს მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ᲕᲐᲠᲝᲑᲐᲨᲘ შემოტანილ ისრეთ წოდებულ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗᲡ ᲫᲘᲜᲝ-ᲒᲚᲘᲪᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲘᲡᲐ, რომელსაც თმა ამოჰყავს. ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ ᲣᲪᲓᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა ᲚᲐᲜᲓᲒᲔᲠᲘᲢᲗᲐᲜ დანიშნულისა, ᲕᲔᲜᲐᲨᲘ, Უ. ᲥᲚᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡᲐ და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკეირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

Წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლებული თავიც კი მალე თმით იმოსება. საკეირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ᲧᲕᲔᲚᲐ გვარ ქერქეშს ამორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ᲧᲕᲔᲚᲐ ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ᲤᲐᲡᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ 2 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ ბანკთან არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმაროს ეს პომადა

ᲞᲝᲛᲐᲓᲐ

„PASTA EUGENIE“

ᲐᲛ ᲞᲝᲛᲐᲓᲘᲡ გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Eugenie ისყიდება ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲚᲐᲜᲙᲝᲡ მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ქარვასლაში, ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ — სეგალთან და ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲨᲘ ᲙᲣᲠᲘᲚᲚᲐᲓᲐᲪ. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამინის სიცხოველე ეძლევა. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ეს პომადა იძათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. Მყოფველებისათვის გარანტი, არის ᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲚᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 1 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 60 ᲙᲐᲞ.

ᲑᲐᲜᲙᲗᲐᲜ არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ᲧᲝᲕᲔᲚ პომადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დალი, ᲐᲤᲣᲠᲘᲡ სურათით და გამამგონის ხელის

საც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა

ᲮᲔᲚᲘᲡ

ᲞᲝᲛᲐᲓᲐ

ᲔᲐ პომადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრძა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 30 ᲙᲐᲞ.

ᲗᲛᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲑᲐᲕᲘ — ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ᲤᲐᲡᲘ სამი მანეთი.

ᲢᲣᲚᲙᲐᲘᲡ ᲑᲐᲚᲖᲐᲛᲘ — საშუალება მაზოლისათვის. ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐᲞ. 54—39

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. .	—	—	—	—	1	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
Ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
Ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
Ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
Ფოთი . .	8	40						
Ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ .	11	51			3	4	1	69
Ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
Თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲛᲔᲑᲘ

ა) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ მიდის:

ᲝᲓᲔᲡᲘᲡᲙᲔᲜ — ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ᲝᲓᲔᲡᲘᲓᲐᲛ:

Ფოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.

სტამბოლს — ოთხშ. ბათს, შუადღეზე

ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ᲛᲔᲠᲩᲰᲛᲓᲘ. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ᲝᲓᲔᲡᲐᲛᲓᲘ.	38	„	30	„	9	60

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

ᲝᲪᲘ სიტყვა Თფილისიდამ:	მ.	კაპ
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, Ფოთს . .	1	—
ბორს, ᲓᲣᲨᲔᲗს, სილნახს		50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕს ᲝᲓᲔᲡᲐᲡ მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲠᲣᲡᲗᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲨᲘ.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) Თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲡ, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ — სამშ. და შაბ.

ბ) Ძ Უ Თ Ა Ი Ს Ი Დ Ა მ:

Თფილისისა და ᲤᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ — ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲡ — ოთხშაბ.

გ) Ბ ო ტ ი Დ Ა მ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ დღე, კვირას გარდა.

დ) Ფ Ო Თ Ი Დ Ა მ:

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ;	კაპ
ᲚᲘᲐ წიგნის	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .	8

ᲑᲘᲠᲭᲐ

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 8 ნოემბ.		
ᲔᲠᲗᲘ მანეთი ლირს:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ $3^1/_2$ პენსი.	—	84
Პარიჟში $303^1/_2$ სანტიმი.	—	89
ᲘᲡᲙᲝᲜᲢᲘ (საოგებლისფასი)	7	-
ბანკის ბილეთი 5%	93	25
მოგებიანი (პირველისესხი)	173	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	171	—
ᲑᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
Თფილ. საზნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	80	25
მოსკოვის (5%). . . .	81	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲝᲓᲔᲡᲘᲡ სავაჭრო ბანკის	155	—
Ფოთი-Თფილ.რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	480	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და მერკურის. .	206	—
პირვ. საზღვეგ. საზოგ.	725	50
პეტერბ. საზღვეგ. საზ.	240	50
მოსკოვის საზღვეგ. საზ.	170	—

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

Თფილისი, 16 ნოემბ.	მან	კაპ
პური შორაგალის ფთ.	1	20
ᲛᲔᲠᲘ ფუთი. . . .	—	80
ბამბა ᲛᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ფუთი .	5	20
— ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ფუთი. .	5	60
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	—
— Თარაქამისა ფთ. .	4	60
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛი ნუხური გრ.	2	60
ᲥᲝᲜᲘ, ფუთი. . .	4	—
ᲥᲝᲜᲘᲡ სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ლიტ.	—	45
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	50
სპირტი, ვედრო. . .	6	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	50
— ფხვნილი ფუთი . .	5	90
ᲣᲐᲕᲐ გოგვალი ფუთი .	19	50
ზეთი ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ფთ.	6	20
ᲝᲚᲥᲝ $^1/_2$ იმპერიალი. .	6	70

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Ноября 1876 г. Типографія Меликова и К°. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.